


სპორტიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 5 ივლისი 1997 №77 (442) ფასი 40 თეთრი



გაბა მოგაბას გპედიკსოს

მორე წელია, რაც ქართული გუნდები ინტერტოტოს გათამაშებაში ჩაებნენ და აქამდე ერთხელაც არ მოუვიათ. თბილისის „მერანს“ აქვს შანსი, ხვალინდელ მატჩში წარმატებით პირველობა დაიკვიდროს. პირველობა არა XII ჯგუფის გათამაშების ცხრილში, არამედ ამ ტურნირზე მოგებანახ ქართულ კლუბებს შორის. თუ ასე მოხდა, „მერანი“ თავის პირველ გოლსაც გაიტანს. თბილისელთა საკვირაო მეტოქე მოგვსენებათ, მალტური „ფლორიანაა“.

მასთან შეხვედრის წინ „მერანმა“ კვლავ ჩაატარა საკონტროლო შეხვედრა „მორკინალთან“ და ისევე, როგორც საბერძნეთში გამგზავრებამდე, დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, ამჯერად — 4:0. ბურთები გაიტანეს გოგობერიშვილმა (2), გოლერძიშვილმა და ბახვა ამბიძემ.

AIPS-ის წევრ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციებს ბუდაპეშტი, 2 ივლისი, 1997

პიროვნული კოლეგია:

გილოცავთ თქვენ და თქვენი ასოციაციის წევრებს სპორტულ ჟურნალისტთა დღეს. გისურვებთ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში და მადლობას გიხდით იმ წვლილისთვის, რომელიც შეაქვთ ჩვენს საერთო საქმეში. ვიმედოვნებ, ეს დღე სამასწოვრო გახდება ყველა თქვენგანისთვის და მუდამ იქნება სპორტულ ჟურნალისტთა მადალი მრწამსის ღირსი.

გთხოვთ, გაეცნოთ დეკლარაციას, რომელიც AIPS-მა გამოსცა სპორტულ ჟურნალისტთა დღესთან დაკავშირებით. ეს დეკლარაცია გავუგზავნეთ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს და სხვა ორგანიზაციებს. გთხოვთ, შეძლებისდაგვარად გააცნოთ თქვენის ქვეყნის მედიას და სპორტის ეროვნულ ფედერაციებს AIPS-ის ეს დეკლარაცია.

საუკეთესო სურვილებით
AIPS-ის პრეზიდენტი თომას ბაიათლი

ველა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციას ბუდაპეშტი, 2 ივლისი, 1997

პიროვნული კოლეგია:

2 ივლისს — სპორტულ ჟურნალისტთა დღეს AIPS-ის წევრი 130 ქვეყნის 30 ათასზე მეტ სპორტულ ჟურნალისტს გესურს, რომ სპორტი გათავისუფლდეს ღობინგის, ძალადობის, ფანატიზმისა და რასიზმისგან.

გთხოვთ, ოფიციალურ პირებს, შევიძინებთა ორგანიზატორებს და მსაჯებს, თავიანთი მოვალეობანი შეასრულონ მიუკერძოებლად და ზუსტად, პატივი სცენ მთელი მსოფლიოს მილიონობით სპორტის მოყვარულს.

AIPS ასევე სთხოვს საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს და მათთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციებს, სცნონ AIPS-ის პარათი, რომელიც ჟურნალისტის პროფესიონალიზმის საბუთია. ამასთან, გესურს ერთხელ კიდევ შეგახსენოთ, რომ გაზეთების, ტელევიზიის, რადიოსა და ფოტორეპორტიორების გარეშე სპორტი ვერასოდეს გახდება ისევე საყოველთაო.

AIPS-ის პრეზიდენტი თომას ბაიათლი, ვენერაბული მდივანი მატჩი სალმენკაპულა

ხიზ-ხხელეა რონაღდოს გაბო

არა, მართლაც კარგი ფეხბურთელია რონაღდო, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია — მისი ტრანსფერის გადაწყვეტაში ლამისა გაერო ჩაერიოს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად რონაღდოს საკითხს თვით ფიფა იხილავს. წინასწარი მონაცემებით, ეს ორგანიზაცია თავისი ნომერი 616 ცირკულარის მიხედვით იძულებულია დაბრუნდეს „ბარსელონადან“ წასვლას არა, მაგრამ ესპანეთის დატოვებას ნაღდა არ დაანებებს. ცხადია, აქ საფეხბურთო ესპანეთს ვეულისხმობთ, თორემ ჩვეულებრივ გადაადგილებას რონაღდოს ვერაინ დაუშლის და ის ამჟამად სამშობლოში იმყოფება.

გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა „ბარსელონას“ 27 მილიონ 600 ათასი დოლარი რომ გადაუხადა და გათავისუფლდა ამ კლუბისაგან, ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის. პოლა, თავისუფალ კაცს ვერაპაში არავის აჩაგრინებენ, თუნდაც არავერობულს გუშინ ვეროსაბტოს კომისიამ ფიფაში წერილი აფრინა, თქვენი 616-ე ცირკულარი მაგრად შეინახეთ, ჩვენს ტერიტორიაზე მაგის გამოყენება ადამიანის უფლებების შელახვაა. ცხადია, წერილის ტონი მთლად ასეთი არ ყოფილა, მაგრამ ამით საქმის ვითარება არ იცვლება. ევროსაბტო ითხოვს, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაინტერესებულ მხარეს (იგულისხმება „ინტერი“) მისცეს რონაღდოს სტრანსფერო სერტიფიკატი. მოკლედ, ეს საქმე კიდევ უფრო ათბურს და როდის დასრულდება, არაინ უწყის.

რონაღდო კი, როგორც ვთქვით, სამშობლოშია. თუ რითაა დაკავებული, მეორე გვერდზე წაკითხათ, აქ კი პარემ საფეხბურთო სამყაროში გუშინ მომხდარ ორ ამბავს გავაცნობთ.



პოლ გესქინმა კიდევ სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი მოტლანდის ბოლო ცხრა წლის ჩემპიონ „გლაზგო რენჯერსთან“, ხოლო ვენის „რაპიდმა“ იტალიურ „რომას“ შეუთვალა, რომ თუ ახლავე გადაიხდის 811 ათას დოლარს, ავსტრიელთა კუთვნილი მეკარე მიხაელ კონსელი დაუხანებლად რომში გაემგზავრება. ბოლო კვირის განმავლობაში იტალიელებმა არაერთხელ შეხშიანენ კონსელს, მაგრამ „რაპიდის“ პასუხი ასეთი იყო — ან ზემოხსენებული თანხა და სასწრაფოდ, ან არადა, კონსელი დღითიდღე გაძვირდება. ისე, ავსტრიელებმა ისიც დასძინეს, თუ სამ თვეს გვაცდით, უფასო თანხს მოვიღებთ და მერე ნახევარ ფასში წაიყვანეთ სასურველი მეკარე.

იტალიელთა პასუხი წუხელ უცხოურ სააგენტოებს აღარ უცნობიათ, ისინი კვლავ... რონაღდოსა და „ბარსელონას“ ურთიერთობას არკვევდნენ. თბილისში უკვე ღამის პირველი საათი იყო, როცა როიტერის ჩიტი შემდეგი ამბავი მოიტანა:

პარასკევს შუადღისას „ბარსელონას“ პრეზიდენტ ნუნიესს უცნობი შუამავალი დაუკავშირდა და 6 მილიონ 900 ათასი დოლარი შესთავაზა, თუ იგი ხელს არ შეუშლის რონაღდოს „ინტერში“ გადასვლას. ცხადია, ნუნიესი ის კაცი არაა, ამ თანხას დაზარალებს, ამიტომაც გუშინ ნუნიესი ისევ თავისაზე იდგა — რონაღდოს შეუთვალე, რომ 21 ივლისს კლუბში გამოცხადდეს — ამ დღეს შევედით მივეფინავთ შეკრებაზე და ის ჩვენთან ერთად უნდა იყოსო.

...დღეს გვიან ღამით მოსალოდნელია „ბარსელონასა“ და „ნაიკის“ შორის ხელშეკრულების დადება — განაგრძობდა როიტერის სააგენტო. ამ ცნობით, კონტრაქტი ძალაში 1998 წლის გაზაფხულზე შევა და „ნაიკი“ კატალონიელთა ამჟამინდელ შემოსევს „კაპას“ შეცვლის. ამ ათწლიანი გარიგებით „ბარსელონა“ დაახლოებით 145 მილიონი დოლარით შეაყვებს ხაზინას, რომლიდანაც ნუნიესი უკვე ახლა 18 მილიონის აღებას და ამ ფულად ფიორენტინელი გაბრიელ ბატისტუტას და მონაკოელი სონი ანდერსონის ყიდვას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი ჰქონია.

ფუხელ **კვირის ჩამპიონატზე**

კალათბურთში გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები.

დღეს ითამაშებენ:

საბარნათი — იუმოსლავია
იტალია — რუსეთი

იხილეთ შემდეგ გვერდო

ვათა ფინალამდე ვერც მორე დიდმა გერმანელმა მიალწია: შტიხის ოცნება — მორედ გაემარჯვა უიმბლდონზე, სედრიკ პილინმა დაასამარა.

ამ მატჩის პირველ ხელში მეტოქეები თავთავიანთ მოწოდებებს იგებდნენ და თაიბრეიჭე შტიხმა პირველი სეთი მოიგო 7:6. მეორე ხელში, როცა ანგარიში 2:2 იყო, პილინმა მეტოქის მოწოდება მოიგო და ისეთი ძალით ათამაშა, შტიხი უსუსური ჩანდა. ფრანგმა ეს სეტზე ადვილად, 6:2 მოიგო და მესამეც ასეთ სტილში მიაყოლა 6:1.

შტიხმა ძალების უდიდესი დაძაბვით შემოღო მეოთხე ხელის 7:5 მოგება, მაგრამ ეს მისი ბოლო გაბრძოლება იყო. პილინი გონს მოეგო და გადამწყვეტი სეთის მოგებით ფინალის საგზური მოიპოვა — 6:7, 6:2, 6:1, 5:7, 6:4.

ეს პირველი ფრანგი ვაჭა უიმბლდონის ფინალში ბოლო 50 წლის მანძილზე.

ამ შეხვედრამდე პიტ სამპრასმა და ტოდ უელბრიჯმა ითამაშეს. აქ საინტერესო არაფერი იყო, გარდა იმისა, რომ წვიმამ ისევ შეაწყობა ტურნირის მონაწილენი. მატჩი ორი საათით გვიან დაიწყო და მერეც, როცა სამპრასი 6:2,

ფრანგი ფინალში?

10 დაწინაურდა, კვლავ გავედრა და შეხვედრა შეწყდა. თამაშის განახლებას სამპრასმა უმალ მოათავა მეორე ხელი და მხოლოდ ბოლოს გაეთამაშა მეტოქეს — თაიბრეიჭამდე მიალწევინა. 6:2, 6:1, 7:6 გაიმარჯვა. სამპრასმა და თავის მეოთხე ტიტულუსკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

სამპრასი და პილინი აქამდე შეიდეკრ შეხვედრენ ერთმანეთს და შედეგურევე სამპრასმა მოიგო.

გარკვა ისიც, რომ იანა ნოვოტანს ბარბაყი ასტყეებია, რის გამოც გუშინ ვერ ითამაშა ქალთა წყვილების მეოთხედფინალი. ექიმების აზრით, თუ იგი ფინალს ითამაშებს, თავისი შესაძლებლობის მხოლოდ 75 პროცენტის გამოყენებას შესძლებს.

ძაღუბი წყვილები
(მეოთხედფინალი):
ჯოჯი ფერნანდესი (აშშ), ნატალია ზერევა (რუსეთი) — მერი ჯო ფერნანდესი, ლიზა რაიზონდი (აშშ) 6:7, 6:4, 6:4
საბინა აბელმანსი

(ხელგია), მირიამ ორემანსი (პოლანდია) — ლინდსი დავენორტი (აშშ), იანა ნოვოტან (ჩეხეთი) — (უარის) ლარისა ნიელანდი (ლატვია), პედერს სუკოვა (ჩეხეთი) — ელიზ გალენსი (ბელგია), ჯინჯერ მელგესონ-ნილსენი (დანია) 6:4, 6:4; ნიკოლ არენტი (აშშ), მანონ ბოლდერაფი (პოლანდია) — მარტინა შინგისი (შვეიცარია), არანსა სანმესი (ესპანეთი) 6:4, 5:7, 6:2
ვაჭა წყვილები (ნახევარფინალი):
იაკო ელტინგი, პოლ პაარპუსი (პოლანდია) — მარტინ დამი, პაველ ვიზნერი (ჩეხეთი) 6:2, 6:2, 6:4
შპრეპული წყვილები (მეოთხედფინალი):
სუკი, სუკოვა (ჩეხეთი) — კინერი (აშშ), მიაგი (იაპონია) 6:2, 7:5; ოლზო-გსკი (რუსეთი), ნეილანდი (ლატვია) — პავსი (ინდოეთი), დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 7:6.



სამპრასმა მოსალოდნელზე იოლად გააღწია ფინალს, სადაც შტიხის მჭობ სედრიკ პილინს შეხვედა



საქრებულო

საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტი

(კიდევ ერთი ექი)

და ისევე ლას ვეკასში ვართ. იმ ბრწყინვალეობაზე და მოვლევარე „იქმევი“ გრანდში. „სეზარი პალასი“ მინც ყოფილიყო ეს ობერი, ესა. შესაძლებელია ვეწერ ამ კვირაში „ხმაურისა და მძინვარების“ გამო და ახლა ძველებს ვავისხვებ. სამაბათის რაც ჩამოვწერე ამ შინაშენების გამო, ვფიქრობ სწორი იყო. კრივი არ არის იოლი სამყარო და ამას ბოლო დღეებში ენაჩაგრდნოლი სუპერორაში ღონ კინგის მარცხივ მოწოდებ.

ლონს ფული ჩაატანეს! წარმოგიდგინათ? ესეც არ იყო და ყურის კვებება ღიხაც მოუღებელი ამბავია, მაგრამ, იმედი მაქვს, ცუპერებს კინოში გამოადგებათ.

საცოდავი ბიჭები — საცოდავი და შტერი ბიჭები, პლუკუნით რომ ლაპარაკობენ.

ახლა რომ თვალს გადავავლო დღევანდელ კრივში ბევრი კრებინა: თუნდაც, ოლივერ მაკკოლი ავიოთ, სიცილი რომ დასწრულა კარიერა და ხიცილს და ტირილს ძალიან უცნაურად რომ ურევდა ერთმანეთში. ტანონს სრულიად არ ვახსენებ, ამას მხოლოდ მინც ვაუგავა, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გოგოებს ათი წლიდან სცემდა და რვა წლის იყო, როცა რეგულაციით შევარდა კალათბურთელთა სავარჯიშო დარბაზში და ცეცხლი გასწა.

ავიოთ რიდიკო ბოუ — ჩერჩიტი „ბიგ ლედი“, „ლესანტიკობა“ რომ გადაწვიტა და ერთი კვირა რომ გაუძლო სალდათობას. ანდა, მისი ამასწინდელი მოწინააღმდეგე ენდრიუ გოლოტა მოვივლით — კაცი, რომელმაც თავისი სისულელით ორჯერ შეღიხელ წაავო. ორჯერვე წვლქვემოთ არაერთხელ დარტყმისათვის.

ესენი საარაკო სულელები არიან — ჩვენი კი თვეობით მოველით ამათ გამოჩენას.

ოლესაც, კასიუს კლიმე მდინარეში გადავავლო რომის ოლიმპიადის ოქროს მედალი — აღმფთებულმა იმით, რომ როგორც ზანგი, რესტორანში არ შეუშვეს.

ეს საქციელი იყო. ოლესაც, ალი ომში არ წავიდა და ციხეში ჩავდა.

ესეც საქციელი იყო. ვეველაფერი, რასაც ეს კაცი აკეთებდა, მოსაწონს, თუ არ მოსაწონს, საქციელი იყო.

ამის უკან აღამიანი იღვან. და განა აღამიანი არ იყო ლარი პოლში, ანდა „სმოტი“ ჯო ფრეზერი, იმ თავისი ცაცია პუკით, ანდა მძები სფინქსები? ამას — ახლო წარსულს გმირებზე ვევებ, თორემ ძველებისა ხომ თქვენც იცით.

ძველად კრივი იტალიელ გემბლერ მომსწრებს ეჭვითა. მაგალითად, ტონი პალერმოს და ამნარ ხალხს. ამათ ხელში იყო ფსინი, ორბირობა, რინგზე წაწოლის ოსტატობა და ამის მიუხედავად, მოკრევენი ვაგაკცები იყვნენ. კაცური საქმისა მეთი ემსოდათ.

და ვინ არიან ეს დღევანდელი მუშტისკაცები? ჯებებივ გასქვლებით, ფარეხში ოც-ოცი „ასტონ მარტინი“ უყენით, დღეში თითო კონსტუმს იცვლიან, ტანს ისეირინებენ, ოქროს სამაჯურებს ირგებენ და მუყუბივით ლაბობტებენ. ვინ არიან?

რითა სჯობიან ჯო ლუისი, რეი შუგარ რობინსონს, ჯიმ ტანის, ჯეიკ ლამოტას, ხერლანს, ფლოიდს (განა ფლოიდი არ იყო ქუჩის ბიჭი?), მარჩინოს და სხვებს.

არაფრით, გარდა ვავის ქიცივისა. ამითი საქმე წელიწადში ერთი ჩხუბია და ისიც, პა და პა, თვალსა ღლის. რამდენ რაუნდს ვაუძლებდნენ ტანისონი, მარკერი, ლუისი, პოლიფილი, ბოუ, მაკკოლი, ბოთა, შუცი, სელდონი ალის, ფრეზერს, ფორმენს, თუნდაც ნორტონსა და უოლკოვს? არ ვიცი.

მთავარი კი ეს არის, რომ ცირკი ცირკად არის კარგი, კრივი — კრივი და ამითი ერთმანეთში არევა აღარც კრივია და აღარც ცირკი. ექტნი ხომ არ არის, ბოლოსდაბოლოს? კრივია — ტომი ბოლინის დროიდან უდიდესი სახეობა.

ნაინდა ურჩხულის ბოლო გაბრძოლება


ზედ რამდენიმე უნებლიე შეცდომა მოუვიდა, ცოტა მეტოქეც გამოიღო ხელი და ბრეიქც გაახერხა. პოლანდიელს თამაშის გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა მერვე გეიმში მიეცა, მაგრამ ჰენმანმა ბრეიქ-ფინითი ფისით გადაარჩინა, შემდეგ კი სეთიც ადვილად მოიგო — 6:4. 1961 წლის შემდეგ პირველად ერთაშადა ორი ინგლისელი მოხვდა მეოთხედფინალში. კრაიჩემა კი პრესკონფერენციაზე თქვა, ჩემს შვილს თომს არავითარ შემთხვევაში არ დაეარქმევი.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი მეოთხედფინალში 18 წლის 57-ე ჩოგანს — ჩეხ დენიზა ხლადიკოვას ეთამაშებოდა. ესენი თურმე ჩეხოსლოვაკიაში ერთად იზრდებოდნენ და კარგა ხნის მეგობრებიც ყოფილან, მაგრამ უიმბლდონის მეოთხედფინალში ნაცნობ-მეგობრობა შედარებით ნაკლებად მოიგო მეტოქე გაანადგურა — 6:3, 6:2.

დიდი ბრძოლის გარეშე მოიპოვეს ნახევარფინალის საგზურები იანა ნოვოტნამ და არანა სანჩეს-ვიკარიომ. ნოვოტნამ ადვილად მოუგო ინდონეზიელ იაიუკ ბაზუკის — 6:3, 6:3. სანჩესმა ფრანგი ნატალი ტოზია ასევე ორ სეთ-

ხვედრებში ამერიკელია წინ — 10:7, და უიმბლდონზე ამ ორს შორის გამართული წინა შეხვედრაც — 1995 წლის ფინალი, მისი გამარჯვებით დასრულდა. სწორედ მაშინ ჩამოართვა ჰიტმა მეტოქეს ბალახის მეფის ტიტული. ამ მატჩს მოუთმენლად ელოდნენ ლონდონში და ადრეულ ფინალადაც მონათლეს, მაგრამ ბრძოლა არ შედგა.

პირველი სეთი, რომელიც წვიმის გამო რამდენიმე საათით შეწყდა, სამარა-სმა დამარჯვებულად მოიგო — 6:1 მიეღო მატჩის განმავლობაში ამერიკელი შეუღარბელი იყო. იგი იმდენად სრულყოფილად აწოდებდა, რომ ზედიზედ რამდენიმე გეიმის განმავლობაში გერმანელმა ერთი ქულაც ვერ მოიგო. მეორე სეტში ბორისი მიხვდა, რომ მხოლოდ სრული მობილიზებით თუ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას. თაიბრეიქზე მან რამდენჯერმე გაიბრწყინა და ხალხს შეახსენა, რომ ერთ დღოს სულაც არ გახლდათ ვაბანი — 7:5. მაგრამ ეს იყო და ეს. მესამე სეთი კვლავ სამარასის სრული უპირატესობით აღინიშნა — 6:1. მეოთხის დასაწყისში საკუთარ მოწოდებაზე ბეკერი რამდენჯერმე შეცადა უმარტივეს სიტუაციაში და ამერიკელმა ბრეიქი გაახერხა. ბორისი



ბეკერმა წასვლის ამაგი პირველს სამარასს გაანდო

მა დამარცხა — 6:2, 7:5. ყველაზე დაძაბული როლან გაროსის წლებანდელი ჩემპიონის, ხორვატ ივა მაიოლისა და რუსი ანა კურნიკოვას მატჩი გამოდგა. მაიოლი არ ღალატობდა ჩვეულ მანერას და უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ ბალახის საფარზე ასეთი თამაში სულაც არაა მოგების გარანტი. კურნიკოვა მიხერხებულად ცვლიდა თამაშის ტემპს და თუმცა მისი შემოკლებული დარტყმები ხშირად ვერ აღწევდა მიზანს, მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ ეძლეოდა.

ყველაფერი პირველი სეთის თაიბრეიქზე გადაწყდა, რომელიც „ლოლიტად“ მონათლულმა კურნიკოვამ 7:4 მოიგო. მანვე მეორე სეთის მეთე გეიმში მეტოქის მოწოდების მოგებით დაამთავრა კიდევ თამაში. მატჩს ანა „ჰუმბერტი“ — სერგეი ფიოდოროვიც ესწრებოდა, რომელმაც მოგების შემდეგ აპოლოდის მენტები არ დაიშურა. ისე კურნიკოვას არანაკლებ მომხიბველი და ახალგაზრდა დედა ჰყოლია და ვინ იცის, დეტროიტის ვარსკვლავი ვის გამოა ლონდონში. თანაც, ანას გამარჯვების შემდეგ მისი მისალოცი კოცნა სულ ალაკურნიკოვას ერეგება ხოლმე.

სუოშაბათი

ფრანგებს ერთი მთარული გამოთქმა აქვთ — „წმინდა ურჩხული“. ასე უწოდებენ ისინი ყველაზე სახელმძოხვეწელ ადამიანებს, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით ქვეყნის წინაშე, ან რაიმე საქმეში. სუოშაბათის უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ორი „წმინდა ურჩხული“ ხვდებოდა ერთმანეთს — ბორის ბეკერი და ჰიტ სამარასი. გერმანელი ტურნირის სამეზის გამარჯვებული და ოთხჯონ ფინალიტა. სამჯერ მოუვია უიმბლდონი სამარასსაც. პირად შე-

ვაგების საფრთხემ კი შეაფუცხუნა ცოტათი, მაგრამ მეტოქის ნაშუქარი ერთადერთი ბრეიქ-ფინითი უნიჭოდ განაიავა და სეთი, და მასთან ერთად მატჩი, დათმო — 6:6, 7:6, 6:6, 4:6. ბეკერს აშკარად დაეტყო ასაკი. ადრინდელი სისწრაფისა და პლასტიკურობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, აღარც საფირმო ნახტომებით ართობდა მაყურებელს. აი, სამარასმა კი საჩემპიონო თამაში აჩვენა და თუ ასე გააგრძელა, მისი გამჩერებული კაცი არ არის. მატჩის შემდეგ ბეკერმა განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო გამოცდა იყო უიმბლდონზე, რადგან ივრძო, რომ დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად ძალია აღარ შესწევს. ბეკერ — ელბერგის ოქროს ხანა ჩოგბურთში მართლაც დასრულდა მან ასპარეზი უფრო ათლეტურ, თუმცა ნაკლებ მომხიბლავ სტილს დაუთმო. მომავალი ამიერიდან „სკადებისა“ და სხვა სარაკეტო დანადგარებისა.

კიდევ ერთი გერმანელი, 19 წლის მსოფლიოს 98-ე ჩოგანი — ნიკოლა კიფერი წველითა თამაშის ვირტუოზს, აესტრალიელ ტოდ უილდბრიჯს ხვდებოდა. კიფერი ბეკერის პირადი მოწაფე და რჩეული ყოფილა და მეოთხედფინალში გასვლით დიდად გაახარა მასწავლებლები. თუმცა დღეს, თავის მეოცე დაბადების დღეს, ვერც იგი იქნება მთლად კარგ გუნებაზე ექსსატბოლელების რისხვა 4 სეთში დამარცხდა უიფრის იტალია წარმომადგენელთან — 6:7, 6:2, 0:6, 4:6. გერმანიას კიდევ ერთი მეოთხედფინალიტი ჰყავდა — მიხაელ შტიხი და

იმასაც რომ წავევო, რაიხის ქვეყანაში ნამდვილად საყოველთაო გლოვას გამოაცხადებდნენ. შტიხი მასპინძელთა იმედს, ჰენმანს ერკინებოდა. ინგლისელი ფავორიტად ითვლებოდა ამ შეხვედრაში, მაგრამ სასტიკი დამარცხება კი იგემა — 3:6, 2:6, 4:6. მატჩის შემდეგ შტიხმა განაცხადა, თამაშს თავს კი ვანე



შტიხი - ჩემპიონი თუ პენსიონერი?

ბე, მაგრამ უიმბლდონში პენსიაზე გასასვლელად კი არა, მოსაგებად ჩამოვედი და რად ვიკვირთ ჩემი ნახევარფინალისტიბათ.

მასპინძელთა იმედები საბოლოოდ შედრიკ ბოლინმა დაასამარა: მან ყველას გასაკვირად გრეც რუხეცი დაამარცხა — 6:4, 4:6, 6:4, 6:3. ისე რუხეკის დამარცხებაში ბოლინის მიღებაზე კარგი თამაშის გარდა ვეგარიანი წილი ინგლისელის ძველი ტრავმის გამოიხეხებამაც დიდი.

მოუთმენლად ელოდნენ ნახევარფინალურ შეხვედრას ორ თექვსმეტი წლის საოტკინა — მარტინა ჰინგისა და ანა კურნიკოვას შორის. გამარჯვებული ამ საუკუნის ერთეულთა თანრიგის უმრწემესი ფინალისტი ხვდებოდა უიმბლდონზე. ჰინგისი რამდენჯერმე შეხვედრია კურნიკოვას იუნიორთა და პროფესიონალთა ტურნირებში და ყოველთვის მოეგო, ამიტომ, ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჰქონდა. რუსს აშკარად ეტყობოდა, რომ დღევანდელი პირველი სეთში ორივემ სამსამი ბრეიქი მიითვალი, მაგრამ 3:3-ზე ჰინგისმა მოწოდება შეინარჩუნა და ნელ-ნელა მისი უპირატესობაც გამოიკვეთა. კურნიკოვას შიგადაშიგ კვლავ გასდოდა უძლიერესი ფორპენდები და ლამაზი კომბინაციები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მხოლოდ ერთი საკუთარი მოწოდების მოგებით ძნელია საბოლოო გამარჯვებაზე ფიქრი — 3:6, 2:6.

მეორე ნახევარფინალში ძველი თაობის ორი გააფთრებული ბუ მგელი ეკეთა ერთმანეთს. ჩეხი იანა ნოვოტნა, მატჩის შედეგის მიუხედავად, კლასიფიკაციაში პირველად აღზედა მე-2 ნომრამდე, არანა სანჩეს-ვიკარიოს კი წაგების შემთხვევაში კიდევ უფრო დაქვეითება ელოდა. მეტოქეებმა, რომლებიც ადრე ერთ წვეთში თამაშობდნენ, მატჩის დაწყებამდე საკმაოდ უდვილად მოიხსენიეს ერთმანეთი, რამაც თამაშისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააცხო-



იანა ნოვოტნა კვლავ ფინალშია

ველა. თავად მატჩი კი დიდი ვერაფერი სანახაუვი გამოდგა. კორტზე მთლიანად ჩეხი დომინირებდა და თუ სანჩესმა ბაღელსთან მხოლოდ 20 ქულა მოიპოვა, ნოვოტნამ ეს 47-ჯერ შეძლო. საბოლოო ანგარიში — 6:4, 6:2 საათისა და 7 წუთის თამაშის შემდეგ დაფიქსირდა.

ბაიოჯ ბარბიშ

AP-ის და REUTERS-ის ფოტოები



ბეკერის უიმბლდონი: 1984-1997

უიმბლდონის ტურნირის მეორე კვირას მხოლოდ ისეთი ჩოგბურთელები შემორჩნენ, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით გაიკაფეს ვაზა სანუკარი მიზნისკენ — ცენტრალურ კორტზე ფინალის შემდეგ დიდი ვერცხლის თასის აღმართვაზე ხომ უკლებლივ ყველა ამბიციური ჩოგბურთელი ოცნებობს. მაგრამ თუ კაცთა ტურნირზე ამინდს ვეტრანები ქმნიან, ქალებში ჰემპარიტად ემსწილთა ექსპანსიაა.

ოთხშაბათი

წინა დღეს შეწყვეტილი მერვედფინალური შეხვედრების დასასრულებლად კორტზე პირველი კაცები გამოვიდნენ. მეთექვსმეტედ განთესილმა პეტერ კორდამ ჰიტ სამარასთან მატჩის წინ განაცხადა, რომ დიდ ბრძოლას გაუმართავდა მსოფლიოს პირველ ჩოგანს და რომ იგი ჩვეულებრივი ცაცია ჩოგბურთელი სულაც არაა. კორდა თავისი არჩევულებრიობის თაობაზე ვარკვეულწილად მართალიც იყო — მისებრ შეუხვდავი მარტო ცაცებში კი არა, მემარჯვენეებშიც ძნელი საძებნელია. მატჩი სამარასის სასარგებლოდ 6:4, 4:2-ზე იყო შეწყვეტილი და განახლების შემდეგ 8 წუთში ამერიკელმა მეორე სეთიც მოიგო — 6:3. ყველაფერი იქითვე მიდიოდა, რომ ტრამპი ტრამპად დარჩენილიყო, მაგრამ ჩეხმა დამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი მოწინააღმდეგე მართლაც არ არის. კორდა რამდენიმე წლის წინ დიდი მომავლის მქონე ჩოგბურთელად ითვლებოდა, როლან გაროსის ფინალისტიც გახლდათ და კაცთა საუკეთესო ათეულშიც შედიოდა, მაგრამ მუდმივი მოტეხილობების, ტრავმებისა და ოპერაციების გამო მთარულ ტრამპად იქცა. მან თავისი პოტენციალის მაქსიმუმი ნამდვილად ვერ გამოავლინა, მაგრამ შიგადაშიგ ბრწყინვალე მატჩებსაც გამოუჩვენა ხოლმე. სწორედ მაშინ, როცა ყველა სამარასის სწრაფ გამარჯვებას ელოდა, კორდამ მესამე სეთის დამაბული თაიბრეიქი მოიგო — 10:8. ამ წუთებში ამერიკელი ერთობ პასიურობდა, მწელ ბურთებს არ მისდევდა და არც მეტოქის მოწოდებას უტევედა. შემდეგ, მეოთხე სეტში თაიბრეიქი გახდა საჭირო, რომელშიც კორდამ უბრძოლველად გაიმარჯვა — 7:1. მაგრამ დადგა თუ არა მატჩის წაგების საფრთხის წინაშე, სამარასი გამოცოცხლდა. მან მეხუთე სეთის დასაწყისში მეტოქეს მოწოდება წაართვა და თამაში გამარჯვებით დაასრულა — 6:4.



კორდა გამორჩეული ცაციაა

კიდევ ერთ მერვედფინალში ერთმანეთს შარშანდელი უიმბლდონის ჩემპიონი რიხარდ კრაიჩეკი და მასპინძელთა პირველი ჩოგანი თიმ ჰენმანი ხვდებოდნენ. ინგლისში უკვე კარგა ხანია „ჰენმანია“ მოდებული. ეს საშინელი სენი იმაში გამოიხატება, რომ ამ ბრეტის თამაშის დროს მყურებლები ბევრს ოხრავენ, ყვირიან და ლანძღავენ მსაჯებსა და თიმის მეტოქეს. ჰენმანი პირველი დღის შემდეგ წინ იყო — 7:6, 6:7, 7:6. მეორე სეტში მშვიდობიანად დაიწყო, მაგრამ მეხუთე გეიმში კრაიჩეკს ზედი-

ფელს პოეზიის ტურია

დღეს რუანში 84-ე „ტური“ აიღებს სტარტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათ წელიწადში ეს პირველი „ტური“ იქნება მიველ ინდურაინი რომ არ მონაწილეობს — დიდი მიველი წაივდა.

შარშანდღამე ინდურაინს ზედიზედ ხუთი „ტური“ ჰქონდა მოგებული, მაგრამ გასულ წელს ვეღარ ივარჯა, ვეღარ ილიდერა და ჰაილი ამო დაურჩა.

გამარჯვებული კი დანიელი ბიარნი რიისი გამოვიდა, რომელსაც საველოსპორტო მედიამ „ახალი ერის დამწვები“ უწოდა.

რიისი ახლა 33 წლისაა და რბოლის ერთ-ერთ ფავორიტად რჩება.

თუმცა, წლებიდან „ტურ დე ფრანსი“ გამორჩეული და განსხვავებული რამ არის განვილი წლების რბოლებიდან. წელს მონაწილე 198 მბრძოლს გზად დაუდინეს 15 (!) პირველი კატეგორიის სამთო მარშრუტი, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირატესობა სწრაფ და ტექნიკურ-ტაქტიკურ ველოსაიდისტებს კი არ ექნებათ, არამედ გამძლე და გაციან ბიჭებს.

მსოფლიო ველოსპორტს ჰეავს მთაში რბოლის დილსტრატები და ესენი „ტურშიც“ არიან ჩართულნი. ვთქვათ: იტალიელი მარკო პანტანი, ან ფრანგი რიშარ ვირონიკი, მთების მეფე 1994 და 1996 წლებში. მაგრამ ორივეს პრობლემა აქვს: პირველი ამასწინანდელი „ჯიროს“ დროს დაშავდა და „ტური“ გვიჩვენებს, როგორ გამოჯანმრთელდა. მეორე კი, კბილის ექიმთა ხელში ჩაგარდა და ვაგერაც არ მოშუშება.

კიდევ ერთი მოსახიბი „ჯიროს“ წლებიდან ჩემპიონი იტალიელი ივან გობი, მაგრამ ის დედლილია, სხვებმა კი „ჯიროში“ რბოლას დასვენება არჩიეს. 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, რბოლა პირნივებს შეუდგება და შავიც და თეთრიც იქ გამოჩნდება.

სხვა ფავორიტთა შორის შვეიცარიელი ალექს ცულე და ესპანელი აბრამ ოლანო უნდა ვივლისხმო. ამთ ინდურაინის შემკვიდრებადაც კი თვლიდნენ, მაგრამ ცულეს ავარიებმა წაუხდინა კარიერა, ოლანო კი რადაც ვერ არის ორი წლის წინანდელ ფორმაში.

მასპინძელთა იმედები ვირონიკს, ლორან ჟალაბერსა და ლუკ ლეგლანს უკავშირდება. ესენი ძალიან კარგი მბრძოლები არიან და ვეგ წელს ხელიც გამოიღონ.

იგივე შეიძლება ითქვას ბრიტანელ ერის ბორდმანზეც, რომელიც ტრევის უცილობელი მეფეა, მაგრამ გრძელ გუნებზე და სამი კვირის განმავლობაში რბოლა არ სიამოვნებს.

აი, ესენი შეეტოქებინა მელოტ დანიელს. თუმცა, რიისი თავისიანებისგანაც უნდა ვივლიდოს კვილი: „ტელეკომელი“ გერმანელი იან ულრიხი,



შარშანდღელი „ტურის“ ჩემპიონი ბიარნი რიისი

შარშან დემ მეორე იყო „ტურში“, ამბიციით საყვე კაცია. თუ ბრძოლა ატედა, ის განსაკუთრებით მწვავე იქნება სინაუქის გამოცდაში — ინდივიდუალურ გარბენებში, სენტ ეტიენსა და დისნეილენდში რომაა დანიშნული.

და მანც, რიისი ვეელაზე სტაბილურად გამოიყურება. მთაშიც და ბარშიც მას ბუერი შეუძლია არის ამტანი და ჰკვიანი, კარგად გადის ინდივიდუალურ რბოლას და ძალებსაც საუკუნოდ ანაწილებს.

მოკლედ, ომი ფიცხელი იქნება.

ზაზა ჩხიძე

წლებიდან „ტურის“ ერთი პრილობი და ოცდაერთი ნახიჯი

პროლოგი	5	ივლისი	რუანი, სინაუქის გამოცდა	8	კმ	
I	ეტაპი	6	ივლისი	რუანიდან ფორჯ ლეომდე	192	კმ
II	ეტაპი	7	ივლისი	სენტ ვალერი დან კოზიდან ვირამდე	262	კმ
III	ეტაპი	8	ივლისი	ვირიდან პლუმელიკამდე	217	კმ
IV	ეტაპი	9	ივლისი	პლუმელიკიდან ლეიუი დიუფუმდე	225	კმ
V	ეტაპი	10	ივლისი	შანტონიდან ლა შატრამდე	257	კმ
VI	ეტაპი	11	ივლისი	ლემლონიდან მარენზამდე	216	კმ
VII	ეტაპი	12	ივლისი	მარენზიდან ბორდომდე	190	კმ
VIII	ეტაპი	13	ივლისი	სოტერნიდან პომდე	165	კმ
IX	ეტაპი	14	ივლისი	პომად ლუდანივამდე	178	კმ
X	ეტაპი	15	ივლისი	ლიუზინიდან ანდორამდე	242	კმ
XI	ეტაპი	16	ივლისი	ანდორიდან პერბინიონამდე	186	კმ
XII	ეტაპი	17	ივლისი	სენტ ეტიენში		
XIII	ეტაპი	18	ივლისი	სენტ ეტიენი, სინაუქის გამოცდა	55	კმ
XIV	ეტაპი	19	ივლისი	სენტ ეტიენიდან ლაბლეუზამდე	204	კმ
XV	ეტაპი	20	ივლისი	ლე ზურ დუაზონიდან კურმეველამდე	140	კმ
XVI	ეტაპი	21	ივლისი	კურმეველიდან მორზინამდე	217	კმ
XVII	ეტაპი	22	ივლისი	მორზინიდან ფრიბურამდე	180	კმ
XVIII	ეტაპი	23	ივლისი	ფრიბურიდან კოლმარამდე	190	კმ
XIX	ეტაპი	24	ივლისი	კოლმარიდან მონბეიარამდე	164	კმ
XX	ეტაპი	25	ივლისი	მონბეიარიდან დილიონამდე	172	კმ
XXI	ეტაპი	26	ივლისი	პარიზის ვეროლისნი, სინაუქის გამოცდა	62	კმ
			ვეროლისნიდან ელსისა მინდერბამდე	150	კმ	

ჯამში ეს შეადგენს 3 870 კილომეტრს. ნელულს ტური არცერთი უცხო ქვეყნის მიწაზე არ გაივლის, თუ არ ჩავთვლით პანანინა ანდორას.

რა არის „ტურ დე ფრანსი“

თქვენა გეონათ, ლაპარაკი და განსჯა მხოლოდ ფეხბურთის, კალათბურთისა და ჰუკის გამო შეიძლება? ვიცო, გეფვართ ამთ გამო ლაპარაკი, მაგრამ ქვეყნად სხვა რამეც არსებობს ჯადოსნური და განუმეორებელი.

ველოსაიდი

დას, ველოსაიდი მითუმეტეს, რომ დღეს, 5 ივლისს სამეაროს ერთ-ერთი ვეელაზე საოცარი, ვეელაზე დიდებული და საინტერესო შეჯიბრება იწყება: ველოსაიდებით საფრანგეთის გარშემო — მთები, ველები და სამხრეთის გახურებული გზები, დამსკდარი ტურები, მოდელი ველები და მტკიცეანი წელი — დაუთვლებელი ლტოლვა წინ — ეტაპის ფინიშისაკენ. სიკვდილი გაზე და ლიდერის მთლად სველი მისური. არაქათამომცემელი 25 დღე და მშვენიერი, ლამაზი, ნაღდად სპორტული და ვაქაცურული დასასრული პარიზში, ელისეს მინდერბეზე.



აი, ეს არის „ტურ დე ფრანსი“. საფრანგეთის ველოსაიდი — შუა ზაფხულის გიჟური რბოლა დიდებისათვის.

„ტურ დე ფრანსი“ — რიისი ცხენზე ამხედრებული კაცების ჭიდილი სუასონიდან ლაკ დე მადინამდე, შამპერიდან ლუზ არკამდე, მეგაპოლისიდან პატარა სოფლამდე, გვირაბ-გვირაბ, მთა-მთა, მინდორ-მინდორ, ვუ-ნახუბებსა და ზორბლის ვანების გავლით. ქვეყნიდან-ქვეყანაში, მხარიდან-მხარეში.

„ტურ დე ფრანსი“, ალბათ, ვეელაზე გრძელი შეჯიბრი დედამიწის ზურგზე.

1903 წლიდან დღემდე „ტურში“ მონაწილე ველოსაიდებს გაუვლიათ ლამის 360 ათასი კილომეტრი, რაც იმაზე მეტია, ვიდრე მანძილი დედამიწიდან მთვარემდე. დღევანდლამდე აქ ჩვენი საუკუნის ველოსაიდებებს „ტურისთვის“ მიუძღნიათ 500 დღეზე მეტი და ერთ წელიწადს, ზუსტად 71 წლის წინათ, გზის სიგრძე საერთოდ წარმოუდგენელი, 5 745 კილომეტრი იყო.

მაგრამ ეს ფოველივე რიცხვებია.

რიცხვები ვერ გამოხატავს „ტურის“ სულს

ამაზე უფრო მასინ დაფიქრება კაცი, რომელსაც ამ თავდაუზოგავი გარბენის თუნდაც რამდენიმე ეტაპს გაადგენებს თვალს. თავისი არსითა და გამარჯვებისკენ სავალი გზით „ტური“ ურთულესი ორგანიზაცია. თავისთავად ველოსაიდების მზადყოფნა „ტურის“ უგრძესი გზისთვის მნიშვნელოვანი ამბავია, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი მარშრუტის სრულფასოვნად გაყლა. ამიტომ, ტაქტიკას გადასწვევტი სიტყვაც კი მიეკუთვნება ხოლმე ველოსაიდთა ერთად ტური გუნდური შეჯიბრებისა.

გუნდები კი 20-ზე ნაკლები არასოდეს არის. ფოველ გუნდს ჰეავს ლიდერი, რომელიც ან თავიდანვე ცნობილი, ან რბოლის დროს იკვეთება. გუნდი დიდად ეხმარება ლიდერს, ლიდერი კი გუნდს ქაჩავს გუნდური შეჯიბრის პირველობისკენ.

დას, ასეთია „ტური“ — ორასამდე მონაწილით, ოცზე მეტი ეტაპით, ოცზე მეტი პროფესიული გუნდით — ის რბოლა ერთ-ერთ ვეელაზე რთულ, მრავალმანძიან და დამბულ შეჯიბრად. „ტური“ ისეთივე ჭრილი რამ არის, როგორც ამ ბოლო დროს მთლად ჩართულებული მისი გეოგრაფია. მაგალითისთვის, შარშანდღელამ მარშრუტმა იტალიაში სესტრესსა და ტურინშიც კი შეიარა და ჩრდილოეთ ესპანეთსაც გადასწვდა, რამაც მას ტერიტორიაში მუქარაც გამოიწვია — უმხოლ დასრიალებთ ჩვენს მიწებზე. გეოგრაფია გეოგრაფიკად, ტური კი უმოკლესი ინდივიდუალური გარბენით იწყება. იგი არასოდეს აღემატება 10 კილომეტრს, ჩვეულებრივ პატარა ქალაქში იღებს სათავეს და იქვე მთავრდება. ეს ქალაქი ხშირად მეზობელ ბუღაიაშიც შეირჩევა, შარღერუას ახლომახლობი და ის ინდივიდუალური გარბენი იქვე მთავრდება.

ინდივიდუალური მარშრუტები სხვა ეტაპებზეცაა და მათი ჯამი 100 კილომეტრის ფარგალში ეტევა. მაგრამ ეს ფოველივე არაფერია საერთო რბოლასთან, სადაც ველოსაიდებებს, ასე განსაჯეთ, 260-270 კილომეტრიანი ეტაპებიც კი ხვდებათ.

რამდენიმე ბუღაიური პროვინციისა და საფრანგეთის 30-ზე მეტი დეპარტამენტის გზისპირაზე მდგომი მილიონობით ადამიანი და კიდევ ათი ათეუნი ტელემა-ურებელი — აი, „ტურ დე ფრანსის“ პუბლიკა.

15 მილიონამდე ფრანგის საბრიზო ფონდი

რომლის მეზუთედსაც გამარჯვებული იღებს როგორც მინიშები, ოთხი ფინში მალად მთიანეთში — ესეც „ტურ დე ფრანსია“.

და რაც მთავარია, ლიდერის არა ერთი, არამედ სამი მისური: ვეითელი — რბოლის საერთო ლიდერისა უკეთესი დროს ჯამის მიხედვით განვლდ ეტაპებზე, მწვანე — ვეელაზე აქტიური მბრძოლისა (რისთვისაც საგანგებო ქულები ირიცხება) და თეთრი, წიფელი წინეულელი — მთაში საუკეთესოდ მბრძოლისთვის.

საგანგებო ცხრილი გუნდურ ჩათვლაში — კლასიფიკაცია საუკეთესო ახალბედისთვის, კლასიფიკაცია ვაქაცებისა და რისკისთვის, იმთავითვე, ვინც ვეელაზე ხანგრძლივად მაქტრის პელოტონისგან მოწვევტილია. აი, ასეთი შიგანი აქვს „ტურ დე ფრანსს“.

და რაც მთავარია, აქ თავს იფრის მსოფლიოს საუკეთესო ველოსაიდისტთა მთელი კრებული. ვისაც კი სურს რამის დამტკიცება, სურს „ტურზე“ მოხვედეს. ერთი საინტერესო დეტალია: „ტურ დე ფრანსს“ თვენახვერით ასწრებს ერთ დროს არანაკლებ პოპულარული „ჯირო დ იტალია“, მაგრამ ბოლო წლებში, მოწინავე მბრძოლები ჯიროსკენ არც კი იფურებიან, ესაო და, „ტურისთვის“ არ დავიდალით.

ჩვენ კარგად არ ვიცნობთ „ტურ დე ფრანსს“. ჩვენს მხარეში ველოსაიდი ბავშვებისა და ახირებული ხალხის საქმედ იქცა.

ერთხელ, ერთადერთხელ რომ ჩაუკვირდეთ „ტურის“ ამბებს, თქვენ თუ სპორტის ნამდვილი ქომავი ხართ, აღმოაჩენთ უმდიდეს, ძალიან საინტერესო სამეაროს თავისი გამარჯვებული და დამარცხებული გმირებით, სპორტული სულით და ენით, მხელი გზებითა და მოხვედნილი გზისპირებით.

სხვას ვერაფერს გირჩევთ — უცქირეთ „ტურს“, იკითხეთ „ტურის“ შესახებ — ეს უკანასკნელი არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე თავად „ტური“.

„ტურის“ ფოველი ველოსაიდი

ფრანგი ევენ ტრისტიფე პირველი მონაწილე იყო ლიდერის ვეითელი მისური რბოლაში. ეს ვეითელი მისური 1919 წელს შემოიღეს.

კრისტოფე ისედაც ლევენდარული კაცი იყო ტურში — ის 1906-დან 1925 წლამდე ქროდა გზებზე ერთხელ კი, პირნივის მთიან გზებზე 14 კილომეტრი ზურგით ატარა თავისი დამტკერული ველოსაიდი.

სან დე კამპანის ახლოს მან ველოსაიდი შეაკეთა და რბოლა განაგრძო. თუმცა, მამინ, 1913 წლის ზაფხულში, კრისტოფე ვერ მოიგო ის მთიანი ეტაპი, რადგან რბოლის მსაჯმა 3-წუთიანი ჯარიმა წაუშატა — აქოდა, რიისი ცხენის შეკეთებაში ქუჩის პირზე მდგომი პატარა ბიჭი დაგვხმარა.

„ტურის“ ისტორიაში მხოლოდ ოთხი კაცი ყოფილა ისეთი, პირველიდან ბოლო ეტაპამდე რომ სცმია ვეითელი მისური. ესენი გახლდნენ: იტალიელი ოტავიო ბოტჩია (1924), ლუქსემბურგელი ნიკოლას ფრანცი (1928), ბელგეელი რომენ მე (1936) და ფაკ ანკეტელი (1961).

სამ ფრანგ მამს: ანრი, ფრანსის და შარლ პელიციებს სცმიათ ვეითელი მისური სხვადასხვა წლებში, მაგრამ ტურის მოგება მხოლოდ ანრის მოუხერხებია 1923 წელს.

ვეელაზე გრძელი გარბენი — 5 745 კილომეტრის სიგრძისა, 1926 წელს შედგა. იგი ბელგეელმა ლუსიენ ბუისმა მოიგო და საათითა და 22 წუთით ჩამოიტოვა უახლოესი მდევრები.

ვეელაზე გრძელი ეტაპი, 482 კილომეტრს რომ მოიცავდა ლე სპლ დ ოლონსა და ბეიონს შორის, 1919 წელს შედგა. იგი ჟან ალაფანმა მოიგო.

1914 წელს ტურის ბოლო მბრძოლი ანრი ლეკლერკი გამოვიდა — იგი 99 საათით ჩამორჩა გამარჯვებულ ფილიპ ტისს.

„ტურის“ რბოლათა უშუალო მომსახურე ყოველწლიურად 3 500 კაცია. მბრძოლები და ამთ უკან მიმყოფნი სულ ხუთასნი არიან. ოთხასნი მუშები, რვაასნი კიდევ ამ საქმის გარშემო მოტრიალე ხალხი.

ყოველწლიურად ტურს 1 800 ჟურნალისტად დასტრიალებს და ლაივი და ჩანაწერი 50 ტელეარხით გადაცემა.

ფრანგთათვის სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ 11 წელიწადია გამარჯვებული უცხო ქვეყნის შეილია და ბერნარ ინოს 1985 წლის გამარჯვება ტყბილ მოგონებადაა რჩება.

„ტურ დე ფრანსის“ პატარა ფოლიანტი

პირველი ტური 1903 წლის 1 ივლისს დაიწყო და მასში ფრანგმა მორის გარენმა გამარჯვა. დღეს 84-ე „ტური“ იწყება.

ხუთი ათასამდე ველოსაიდი ერთხელ მინც გასულა „ტურის“ გზაზე ვეელაზე მეტჯერ ეს საქმე პოლანდიელმა იოზო ზოტემელკმა მოახერხა. მან 16-ჯერ შეკრა „ლიდი ყულვი“.

15-ჯერ მოახერხა ეს საქმე ბელგეელმა ლუსიენ ვან იმპმა. საინტერესოა, რომ ამთ არცერთი ეტაპი არ გამოუტოვებიათ. 14-ჯერ აიღეს სტარტი ფრანგებმა ანდრე ლარიგამმა (ერთი ეტაპი გამოტოვა) და რამონ პულოლორმა (2) და ირლანდიელმა შონ კლიმ (ასევე 2).

ვეელაზე მეტჯერ „ტურ დე ფრანსის“ პრიზიორი იგივე პულიორი ყოფილა — 8-ჯერ, აქედან სამჯერ მან პირველი ადგილი იპყრა. 7-ჯერ იყო პრიზიორი (5-ჯერ გამარჯვებული) მისი თანამემამულე ბერნარ ინო, ამდენჯერვე, ნახსენები ზოტემელკი (ოღონდაც ერთი ჩემპიონობით).

თუკი ვინმეს მოგუია ტური ვეელაზე მეტჯერ — ბელგეელ ელი მერქსს, ფრანგ ფაკ ანკეტისს, იმავე ინოსა და ესპანელ მეგელ ინდურაინს. ამთ 5-5-ჯერ მოახერხეს ეს საქმე ინდურაინმა ზედზედ 5-ჯერ 1991-1995 წლებში იმარჯვა. „ტურის“ ექვსჯერ მომგები კაცი კი ჯერ არ არსებობს.

ვეელაზე მეტჯერ „ტური“ ფრანგებმა მოიგეს (36). ამთ ბელგეელები მოსდევენ (18), იტალიელებმა 8-ჯერ იმარჯვეს, ესპანელებმა 7-ჯერ, შვეიცარიელებმა და პოლანდიელებმა — 2-2-ჯერ, ირლანდიელმა კი ერთხელ.

ვეელაზე მეტე ეტაპი (34) ელი მერქსს მოგუია. „ტურის“ ვეელაზე აქტიურ მბრძოლად უხბეკი გამოვლინ აბლუე-ფოროვი სამჯერ დაასახელეს (1991, 1993 და 1994 წლებში).



ქართული პოეტი? მკაი!

ჯერ არც უქალაქობაა, მაგრამ კარდიფშიც დაფიქსირდა, ათენშიც, ბრიუსელშიც და ოლიმპიადაზეც ვოცნებობთ

— ჯერ ამას გვითხვით: იმ არასახარბიელო ვითარებაში, ქართული სპორტი რომ აღმოჩნდა, როგორ ახერხებდა არსებობას ბალახის პოეტი? დასამალი რა უნდა — ეს სახეობა ხომ ჩვენში სერტიფიცირებულია კატეგორიის მთავრად?

— პოეტო, ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ მომავალში ბალახის პოეტის ერთი სიტყვით — პოეტით მოვიხსენიებთ. ახლა ყველგან ასე ხდება. ეს გადაწყვეტილება შარშან მთელი პოეტის საერთაშორისო ფედერაციამ მოგვხსენებთ, პოეტის სამი სახეობა არსებობს: ბალახის, აის (შაბიანი) და ბენდი (ბურთიანი). აის პოეტის 40 ქვეყანაში თამაშობენ ბენდის — მხოლოდ შვედში, ბალახის პოეტი კი 104 ქვეყანაში გაერთიანებული და გარკვეული პრიორიტეტის უფლებაც აქვს. ახლა კი შევითხვას დაუბრუნდები.

ამ ბოლო ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში პოეტისადმი დიდი სიყვარული, უფრო მეტი რა ნებისყოფის გამოვლენა იყო საქართველოში, რათა ეს სახეობა საქართველოში არ ჩამოვარდნილიყო. ჩვენმა, ფაქტობრივად, ენოქიანობა სპეციალისტებმა ეს შეძლეს. ურთულეს პირობებშიც კი რეგულარულად იმართება ქვეყნის პირველობები და თასის გათამაშებები. დღესდღეობით ვაყთა რვა და ქალთა ხუთი გუნდი ვეყავს. ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ კვლავ გაიხსენეს პოეტი დელაქალაქში.

ადგილზე, ქუთაისში ჩვენი ხელშეწყობით არაერთი, ისევე და ისევე სპორტის დეპარტამენტი ვეცხმარება. თანადგომისთვის მადლობა მინდა ვუთხრა კახი ასათიანს, ჯანო ბაგრატიონს, ამირან აბესაძეს, ვალერი ჩოლოყაშვილს, ვახტანგ ვაშაქიძეს. თქვენ სწორად აღნიშნეთ — პოეტის ჩვენთან მეორეხარისხოვან სახეობად მიიჩნევენ, მაგრამ ვერ ამხსნიან, რატომ. წუთით 24-ჯერ გამართული საქართველოს პირველობა არ ემარა სახეობის საარსებოდ? როგორც ვთქვი, ქუთაისში ჩვენს გამო თავს არაერთი იწუნებს, უფრო მეტიც, დანაშაულის ნაცვლად ყოველნაირად ხელს გვიშლიან. მაგალითად ისიც კარა, რომ ჩვენს სპორტსკოლას, სადაც ჭაბუკთა თოთხმეტი და გოგონათა თოთხმეტი ვაჟი გაუქმებას უპირებენ.

— რამდენადღაც ვიცო, პრობლემა სხვაგვარი გაქვთ...
— ყველაფერზე რომ ვილაპარაკო, შორს წავივლიყავი, ამიტომ მთავარზე ვიტყვი. ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული ქუთაისში სათამაშო მოედნის პრობლემაა. 1985 წელს ქალაქის მამინდელი ხელმძღვანელის მამუკა ასლანიკაშვილის და სპორტკომიტეტის თავმჯდომარის დავით ფრუიძის ძალისხმევით სპორტკომპლექსის

საქართველოში ბალახის პოეტის არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი გუნდი ქუთაისში, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ბაზაზე, 1973 წლის 3 დეკემბერს შეიქმნა. მომდევნო წელს „მწვანე“ პოეტის თამაში თბილისსა და ბათუმში დაიწყო, ცოტა მოგვიანებით კი მას ლანჩხუთში, ჩოხატაურში, წყალტუბოსა და სამტრედიისში გამოუჩნდნენ მიმდევრები.

სხვადასხვა დროს ყოფილი კავშირის პირველი ლიგის ჩემპიონატებში გამოდიოდნენ ქუთაისის „ლოკომოტივის“, თბილისის ასკის, ბათუმის „განთიადის“ ვაჟთა და ქუთაისის „ფიქსის“ და ბათუმის „თოლის“ ქალთა გუნდები. 1989 წელს „ფიქსი“ ახალგაზრდულ საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა. 1990 წელს „ლოკომოტივი“ უმაღლეს ლიგაში გაიკვლია გზა, მაგრამ, მოგვხსენებთ, მერე ქვეყანა აიოთა და გუნდსაც თამაში არ დასცალდა. ამის შემდეგ ჩვენში ოდითგან პოპულარულ სახეობებს გაუჭირდათ და თუ ბალახის პოეტის აღარაფერს უწევდა ანგარიშს, გასაკვირიც არაა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ დაიშალა გუნდები თბილისში, ლანჩხუთში, სამტრედიისში და, აქა-იქ შემორჩენილ ენოქიანობა ძალისხმევა რომ არა, ჩვენში, ალბათ, პოეტის ხსენებაც აღარ იქნებოდა.

საქართველოს ბალახის პოეტის ფედერაცია 1988 წელს შეიქმნა ქუთაისში და დღემდე აქ ბინადრობს. შეიდი წლის განმავლობაში მას რევაზ რობაქიძე თავკაცობდა, შემდეგ პროვინული ფედერაციის პრეზიდენტი დავით ფრუიძე გახლდათ. შარშან ფედერაციის ყრილობაზე აქ უკანასკნელს. საპატიო პრეზიდენტობა არგუნეს, პრეზიდენტად კი ბალახის პოეტის წევრებში კარგად ცნობილი პიროვნება, დამსახურებული მწვრთნელი და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი თამარ ბრჩაია აირჩიეს. ბალახის პოეტის ავ-კარტზე საუბარს ბევრი საერთოდ ვერ იცნობს, ზედმეტ თავსატეხად მიიჩნევენ, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ფედერაციის პრეზიდენტი უმაღლეს დამთავრებულ ინტერვიუზე.

ტერიტორიაზე საქართველოში ერთადერთი, შეიძლება ითქვას, უნიკალური ხელოვნურსაფარისი მოედანი აიგო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პოეტისთვის იყო განკუთვნილი. პირველ ხანებში მოედანს მართლაც მარტო ჩვენ ვიყენებდით. სხვათა იქ შესვლა არც იყო სასურველი, რადგან ამგვარ მოედნებს ექსპლუატაციის საკუთარი წესები აქვს. მაგრამ გავიდა დრო და ყველაფერი აირ-დაირია. მოედანზე ფეხბურთელებმა, მორაგებებმა და სხვებმა იწყეს ვარჯიში. საფარი ბევრ ადგილას დაზიანდა და თუ ეს განუკეთებია გაგრიდებდა, სულ მოკლე ხანში მოედანი საერთოდ უფარგისი გახდება. ერთხელ და ორჯერ როდი ვთქვით მოედნის ჩვენთვის გადმოცემის თაობაზე, მაგრამ არაფერი იცვლება.

მეორე პრობლემა სათამაშო აღჭურვილობის და ინვენტარის ნაკლებობაა. შემორჩენილი, მოძველებული ვსარგებლობთ. ახლის შესაძენად სახსრები არ გვყოფნის, თუმცა, მაინც მოვახერხებთ პოლონეთიდან ოციოდე ყვანჯის ჩამოტანა. მცირე რაოდენობით ფორმა და ბურთებიც შევიძინებთ მოსკოვში.

სპორტსკოლის შესახებ უკვე ვითხარით, აქ პრობლემებს განგებ ვეიქმნა.

— მართალია, ჩოხატაურში პოეტისტი გოგონები ქალაქში თამაშობენ?
— არც უამისობაა...

— საქმეს შევიძლებული ხალხი ქუთაისის გარდა სხვაგანაც ვყავთ?
— სპეციალისტთა ძირითადი ბირთვი მართლაც ქუთაისშია, მაგრამ გამრჯე მწვრთნელები სხვაგანაც არიან — ჩოხატაურში, ბათუმში, წყალტუბოში, სამტრედიისში, თბილისში. ჯგუფურ კერძელობის და ავთანდილ თედორაძის პროფესიონალიზმი სათუო არ არის — ისინი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან. ახალგაზრდებიდან გამოვარჩევი დავით მოდებაძეს, ზვიანა ჯვანაძეს, ზურაბ ასალაძეს, ნიკო ბარამიძეს. ისინი საქმით აღსტურებენ თავიანთ შესაძლებლობებს. ბარემ მსაჯებზე გეტყვით. შინაურ შევიბრებებს ოთხი ეროვნული კატეგორიის არბიტრი უმსახურება: როლანდ ამალდოშვილი, მურმან შაფათაია, დავით გოლგოთიანი, ილია ყუბანიაძე. პირველმა ამას-

წინათ საბერძნეთში საერთაშორისო დონის შეხვედრები იმსაჯა და არცთუ ურიგოდ.

დღეს უკვე თამაშად შემოიღია ვთქვა, რომ გაჭირვების მიუხედავად პოეტის გავრცელების არეალი ჩვენში ფართოვდება და იმედი მაქვს, ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება.

— ამის თქმის საფუძველს, ალბათ, ბოლოდროინდელი მოვლენები გაძღვეთ — მომარაგებულ საერთაშორისო კონტაქტებს ვგულისხმობ...
— მართლაც ბრძანებთ. საერთაშორისო კონტაქტებს ჯერ კიდევ 1989 წელს ჩავუყარეთ საფუძველი, როდესაც ვაყთა ნაკრებს პოლონეთში ტურნე მოუწევით. იმავე წელს ინდიელ პოეტსტებს ვუმასპინძლეთ. ამის შემდეგ ნაკრებმა ესპანეთში, იტალიაში, ავსტრიაში, რამდენჯერმე ირანშიც ითამაშა. უძიარესი კი ჩვენთვის წელი გუნდი ცდიდა ძალას. ჩვენებმა პირველი შეხვედრა ბულგარეთის დიდი ანგარიშით 4:0 მოუგეს, შემდეგ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — იუგოსლავიასთან 1:2 წააგეს და თავიანთი ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავეს. ბრინჯაოს მედლებისთვის ჩვენი ბიჭები აზერბაიჯანელებს შეეცილნენ. პირველი ტაიმი მოვიგეთ, მაგრამ მეორეში 3 ბურთი მივიღეთ, სამედი 9-მეტრიანი საჯარიმოდან და დემარცხდით. საბოლოო შედეგით მაინც კმაყოფილი ვართ, რადგან მეოთხე ადგილმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოგვითქანა. ეს ტურნირი გაისადა, 6-12 ივლისს პრალაში ჩატარდება და ჩვენთან ერთად უელსის, ჩეხეთის, ჰაბრალტარის, სომხეთისა და ბულგარეთის გუნდები იასპარეზებენ. ამ ჯგუფში გამარჯვებული ფინალურ ეტაპზე ითამაშებს.

ათენში კიდევ ერთხელ დაერწმუნდით, რომ ბიჭები ძლიერ მეტოქეებთანაც არ დრკებიან. მეკარე მამუკა როზუაძის, ნახევარმცველ ზაზა ჩარკვიანის, თავდამსხმელ სერგო სვანაძის თამაშს გულგრილი არავინ დაუტოვებდა.



ირანი — საქართველო: მასპინძელს ზაზა ჩარკვიანი ეგებება

ახლახან პოეტის ევროპული ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში საქართველო სლოვაკეთთან ერთად 24-25-ე ადგილებს იყოფს 42 ქვეყანას შორის. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს.

— თქვენ და დავით ფრუიძე ახლახან ჩამოხვედით უკლსიდან. იქ რა მიხვით გაემგზავრეთ?
— კარდიფში პოეტის ევროპული ფედერაციის კონგრესს ვესწრებოდით. აქ გამართა ევროპის ჩემპიონატისა და საქალაქო ტურნირების წილისყრა ნაკრების თაობაზე უკვე ვითხარით. ჩვენი საკლუბო ვაჟთა და ქალთა გუნდები კი საგარეო რეზერვში არიან, 1999 წლისთვის კი ჩემპიონთა და თასების მფლობელობა თასის გათამაშებებშიც დაგვიშვეს ოფიციალურად. საქართველოს პოეტის ფედერაცია ევროპულ ფედერაციის სრულყოფილებთან წვერად მიიღეს, რის დასტურადაც ამ ფედერაციის დროშა და შესაბამისი ატრიბუტიკა გადმოგვცეს.

უკლსიდან ბელგიაში გადავიხვედით. ბრიუსელში პოეტის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში შეხვედით ფედერაციის პრეზიდენტს ზუან ანხელ ვალზალოს, რომელმაც დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩვენს მიმართ და გარკვეულ დახმარებასაც დაგვიპირდა. მან ვთხოვა, საერთაშორისო ფედერაციის ადმსკომის წევრად ერთი კანდიდატურა დაგვესახელებინა საქართველოდან. ადმსკომის ახალი შემადგენლობა გაისადა პოლანდიის ქალაქ უტრეხტში გაირკვევა. ჩვენ ამ საპატიო მისიას, ალბათ, დავით ფრუიძეს დავაკისრებთ. ევტურან პოეტისთა მსოფლიო ჩემპიონატზე და ჭაბუკთა დიდ საერთაშორისო ტურნირებზე მიწვევის გარდა, ჩვენი ქალთა ნაკრებიც მიიბატიყეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე რომელიც გაისადა ბელგიაში გაიმართება. ბრიუსელში ჩვენ ჩავიტანეთ იმერეთის გუბერნატორის წერილი, რომლის საფუძველზეც შედგა მოლაპარაკება მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმის „ასტროტურვის“ წარმომადგენლებთან. საუბარი იყო ქუთაისის ხელოვნურსაფარისი მოედანზე ამ ფირმის მიერ დამზადებული ხელოვნური მწვანე საფარის გადაგებაზე. ფირმის მესვეურები, ფაქტობრივად, დაგვთანხმდნენ 150 ათასი დოლარის ღირებულების სამუშაოების მეხუთედ ფასში შესრულებაზე. თუ ეს მოხდება, საშვილიშვილო საქმე გაკეთდება — ასეთ მოედანზე ხომ პოეტისტიც იბურთავენ, ფეხბურთელებიც, მორაგებებიცა და ჩოგბურთელებიც. საქმე მხოლოდ ისაა, სად გამოვებნით ეს თანხა. არადა, ასეთი შანსის ხელისაღიან გასვლა იქნება?..

— უახლოეს ვეგებზეც ვითხვით...
— ავგისტოში საქართველოს თასის გათამაშებას ვაპირებთ. სექტემბერ-ოქტომბერში ვაუბი მესამე და მეოთხე ქალები კი მეორე წრეს დაასრულებენ. ნოემბერში ვაყთა საქართველოს ჩემპიონატს და ინდორ (დარბაზის) პოეტის თასის გათამაშებას ვეგებთ. ოქტომბერში მამუკა ასლანიკაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები მოვიწვიეთ. ჩვენი დიდი სურვილია, კიდევ რამდენიმე პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში გამოვიდეთ. სახსრები თუ იქნა, აზერბაიჯანში, ირანსა და იუგოსლავიაში გამგზავრებაზეც არ ვთქვით უარს.

— თქვენი ფედერაციის მიზანია?
— საქართველოში პოეტის განვითარება და პოპულარიზაცია. ვკინდა, ბევრი კარგი გუნდი ვეყავდეს და საერთაშორისო სარბიელზეც ჩვენი სიტყვა ვთქვათ, თანაც, რაც შეიძლება, მალე, სინხელებს არ ვაეურბივართ, პირადად ჩემი ოცნებაა, ქართველი პოეტისტიები 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში ვიხილო.

იუზა ბაციბაძე
საპარტიზანო 1997
წლის ჩემპიონატი

ქუთაისი. 18-21 აპრილი

მაშხაბი	მდგომარეობა II წრის შემდეგ
იმერეთი ქუთაისი	2 2 0 83:12 38
აჭარა ნაკრები	1 2 1 23:7 35
ლოკომოტივი ქუთაისი	1 1 3 48:13 31
სპორტსკოლა ქუთაისი	7 2 5 45:26 23
გუმბორნი წყალტუბო	4 3 7 14:46 8
უნივერსიტეტი ქუთაისი	2 2 0 5:4 5
სამტრედიის	2 1 1 6:39 7
თბილისი	1 1 2 1:38 4

მაშხაბი	მდგომარეობა I წრის შემდეგ
უნივერსიტეტი ქუთაისი	3 0 0 1:0 9
ნაკადული ჩოხატაური	2 0 1 5:2 6
სპორტსკოლა ქუთაისი	0 1 2 1:6 1
სპორტსკოლა წყალტუბო	0 1 2 1:9 1

მეორე წრიდან გათამაშებაში ჩაებება აჭარის ნაკრები, რომელიც პირველი წრის თამაშებსაც გამართავს

ინდორ-პოეტი

მაშხაბი	ნაკადული ჩოხატაური
სპორტსკოლა ქუთაისი	3 0 0 13:6 9
სპორტსკოლა წყალტუბო	2 0 1 16:10 6
სპორტსკოლა წყალტუბო	1 0 2 5:13 3
უნივერსიტეტი ქუთაისი	0 0 3 1:16 0



საქართველოს პოეტისთა ნაკრები



საბარძნეთი — პოლონეთი 72:62
საბარძნეთი: კორნოვისი (18), რენციახი (16), პაპანიკოლაუ (13), ვიონი (11), ალვერტიხი (6)...

ბერძენთა მწვრთნელი იანკისი თურმე არ კვლავობდა, როცა ამბობდა, პოლონელებთან მძიმე მატჩი გველისო...

მეორე ტაიმის დასაწყისში პაპანიკოლაუმ ორი საჯარიმო გააცულა და თითქოს თანაგუნდელებსაც ვადაცვლია...

მეორე ტაიმის დასაწყისში პაპანიკოლაუმ ორი საჯარიმო გააცულა და თითქოს თანაგუნდელებსაც ვადაცვლია...

იშვილავა — ლიტვა 75:60
იუგოსლავია: დანილოვი (21), ტომი (12), თბრადივი (11), ლონარი (9), რეპრანა (6)...

ჩაპონა ბაისირა

სასტარტო ხუთეულში არ დაყენა ძირითადი უკანასკნელები სამა ჯორჯევიჩი და დიან ბოდიროვა...

იუგოსლავიელებმა ცალკე მუშავე მიუჩინეს ლიტველთა ბომბარდირს არტურას კარნიშოვასს...

მეორე ტაიმში იუგოსლავიელები და ლიტველთა საქმე მთლად წახდა. სამას ზუსტი ხელი ლიტველებს მიუღია ცხოვრება...

მეორე ტაიმში იუგოსლავიელები და ლიტველთა საქმე მთლად წახდა. სამას ზუსტი ხელი ლიტველებს მიუღია ცხოვრება...

მეორე ტაიმში იუგოსლავიელები და ლიტველთა საქმე მთლად წახდა. სამას ზუსტი ხელი ლიტველებს მიუღია ცხოვრება...

რუსეთი — ესპანეთი 70:67
რუსეთი: ფეტისოვი (21), მიხაილოვი (15), კარასიოვი (14), ბაბოვი (8), ზ. პაშტინი (6)...

აუცილებელი განმარტება

ვაჭრებში „საქართველოს სპორტი“ და „სარბიელი“ მიუღიეს გიორგი ვაზაგაშვილის ინტერვიუების ერთ მომენტთან დაკავშირებით...

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვეყნის წამყვანი სპორტსმენების მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებს...

ოლიმპიური სტიპენდიის გარდა, მან 1995 წელს, საფრანგულ ბიროების გაუმჯობესების მიზნით, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისაგან მიიღო ერთდროული დახმარება 13 000 ლარის ოდენობით...

იუილაბა
3-ოთახიანი კერძი ბინა (ბე-რეტაუზი), სამშენობლო, გაბრაუთი, ორი სარდაფი, საბაზანო, სამი პატარა ოთახი...

სარბიელი
სპორტული ლატარია "CROCO"
იუნორთა მსოფლიო ჩემპიონატი
5 ივლისი, მატჩი III ადგილისთვის

CROCO-2
ტირაჟი №43
1. ბენკი — სტაბკი
2. ლეიფტური — კაუნასი
3. ისტანბული — ვაშაში

კუბელის მართვა შანსი

გუშინ მოსკოვში დამთავრდა ფრენბურთელთა მსოფლიო ლიგის თასის გათამაშების კუბელი ტურნირი...

ოლიმპიურმა ჩემპიონმა პოლანდიელმა ვ. პ. 3:2 მოუგო ბულგარელს და მესამე ადგილისთვის შეხვედრის უფლება დაიბეჭდა...

აფრიკელები ზებ ჩამოვლან

II ივლისის საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებს ნიგერიის გუნდთან ჯიის შეხვედრა დევისის თასის მეორე ლიგის ევრო-აფრიკულ ჯგუფში...

აფრიკელები 7 ივლისის ჩამოვლან თბილისში 8-კაციანი შემადგენლობით: 4 მოთამაშე მწვრთნელი და გუნდის მომსახურე პერსონალი...

